ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

2. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი, ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 24

2022 წლის 29 დეკემბერი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კიკნაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, მარინა ხვედელიძე,ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ- სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 21 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მარიამ შარიქაძე - დამხმარე მოსამსახურე

ივანე ჭიპაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს დირექტორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი, ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი

მომხრე 21
წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის **ვარლამ ჭიპაშვილის** ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:
პ. კიკალიშვილმა. საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ცვლილება და მხარი დაუჭირა მას
ბ. კვირიკაშვილმა - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ცვლილება და მხარი დაუჭირა, მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიას გაწეული საქმიანობისათვის.
ლ. აბაშიძემ, მადლობა გადაუხადა მერიას მის სამაჟორიტარო ოლქში განხორციელებული პროექტებისათვის და აღნიშნა, რომ მხარს დაუჭერს წარმოდგენილ ცვლილებას.
დ. კიკნაძემ, სხდომის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნ, რომ ასეთი მაშტაბური პროექტები, რაც წელს გაკეთდა ხარაგაულში არ გაკეთებულა მადლობა მერიას.

,,სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ცვლილებები თაობაზე მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 21 წევრი

მომხრე -21

წინააღმდეგი 0

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **დავით კიკნაძე**